№8(210) 9-15 მარტი 2001 წ   პარასკევის გამოშვება   ფასი 30 თეთრი

# ფანტაზია

**„მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი...“**
**ანუ რუბრიკის ექვატორი გადავლახეთ**

## ილუსტრირებული კროსვორდი ანუ







**შემდეგ იქნებიან: რომი შნაიდერი, ვივიენ ლი, მონიკა ვიტი, ანი ჟირარდო, ლაიზა მინელი და სხვები...**






*ინგლისური ენის შემსწავლელთათვის*



სხვათა შორის, „სონეტი“ იტალიური სიტყვაა და „პატარა სიმღერას“ ნიშნავს. იტალიურ სონეტებში (პეტრარკა და სხვები) ასევე 14 სტრიქონია, ოღონდ სტროფები დაყოფილია არა 4-4-4-2 სქემით, არამედ 4-4-3-3-ით და რითმების შესაბამისი გადაადგილებით.

## უილიამ შექსპირი
## მეშვიდე სონეტი

**LO! in the orient when the gracious light**
**Lifts up his burning head, each under eye**
**Doth homage to his new-appearing sight,**
**Serving with looks his sacred majesty;**
**And having climb'd the steep-up heavenly hill,**
**Resembling strong youth in his middle age,**
**Yet mortal looks adore his beauty still,**
**Attending on his golden pilgrimage;**
**But when from highmost pitch, with weary car,**
**Like feeble age, he reeleth from the day,**
**The eyes, 'fore duteous, now converted are**
**From his low tract and look another way:**
**So thou, thyself out-going in thy noon,**
**Unlook'd on diest, unless thou get a son.**

### სამუილ მარშაკის თარგმანი

Пылающую голову рассвет
Приподымает с ложа своего,
И все земное шлет ему привет,
Лучистое встречая божество.
Когда в расцвете сил, в полдневный час,
Светило смотрит с высоты крутой, -
С каким восторгом миллионы глаз
Следят за колесницей золотой!
Когда же солнце завершает круг
И катится устало на закат,
Глаза его поклонников и слуг
Уже в другую сторону глядят.
Оставь же сына, юность хороня.
Он встретит солнце завтрашнего дня!

### ა.გერბელის თარგმანი

Когда светило дня вздымает на востоке
Свой лучезарный лик - восторг у всех в глазах
И каждый на своем приветствует пороге
Приход его, пред ним склоняяся во прах.
Вступив на высоту небесного восхода,
Как юноша, за грань успевший перейти,
Оно еще влечет к себе глаза народа,
Следящего его в благом его пути.
Когда ж оно во прах склоняется к закату,
Как мир под гнетом лет и бременем труда,
Холодные к его померкнувшему злату,
Лукавые глаза глядят уж не туда.
Так, полдень пережив, и ты, друг, как руина,
Склонишься в прах, когда иметь не будешь сына.

* * *

აგერ, მნათობმა გაახილა ზეცაში თვალი,
ამოაფრქვია აღმოსავლეთს სხივთა მძივები,
მერე თვისსავე სინათლეში მოხატა კვალი,
საწუთროს თაღზე სიდიადით ნალივლივები.
მერე შუადღის დაბრძენებით დამშვენებულმა,
ველარ მოირგო ყმაწვილური ვნება-სურვილი
და, ვით მოკვდავმა, სილაღეში თავაშვებულმა,
კვლავაც განაგრძო გზა-სავალი ოქროცურვილი.
მერე დაეშვა... ველარც ყელი მოიღერა და
გარდუვალობას ველარც ასცდა ბნელი ქაოსის,
სადღაც მიღმიერ სამყაროსკენ ტყორცნა მზერა და
ველარაფერი მოიტოვა სააქაოსთვის.
შენც, ვით მნათობმა, არ მიანდო გზას სიმარტოვე
და სიკვდილამდე ერთი შვილი მაინც დატოვე.

(თარგმნა ალ.ელერდაშვილმა,7.03.2001)



| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 |
| 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 | 34 | 35 | 36 |

**01-30 ქულა** – შეფასების გარეშე
**31-70 ქულა** – დაბალი შედეგი
**71-110 ქულა** – საშუალო შედეგი
**111-140 ქულა** – ოსტატური შედეგი
**141-159 ქულა** – დიდოსტატი
**160-164 ქულა** – ბრავო, მაესტრო!
**165 ქულა** – კროსვორდი თქვენ შეადგინეთ?

*პასუხები მე-14 გვერდზეა*

1. ერთობ რუსული იმიჯის მქონე ქალაქი... რუსეთში (4). 2. ქართული ესტრადის, ასე ვთქვათ, „დემის რუსო“ (3). 3. არადაძალებით-არაგათხოვების ტიპის სასწავლო დაწესებულება (1). 4. რკინიგზის სადგური ზუგდიდთან (3). 5. ღვინის დიდი ჭურჭელი (5). 6. ერთგვარი არცთუ პრესტიჟული რელიგიური „პროფესია“ (4). 7. რა საერთო ცნება აქვთ სადაზვერვო და სარეკლამო საქმიანობას? (4). 8. ყველაზე ცნობილი ზღვაოსანი-პირველაღმომჩენი ყველა ნორვეგიელ ზღვაოსანს შორის (7). 9. ტიპიურად ინგლისური სახელდახელო საკვები ფორმა ტიპიური ინგლისური დაბოლოებით (7). 10. (....თუ არ ვცდებით) ყველაზე დიდი ბერძნული კუნძული (5). 11. თბილისის „დინამოს“ ცნობილი ფეხბურთელი, მცველი 50-იან წლებში (5). 12. ერთობ დიდი ისტორიულ-სიმბოლური დატვრითვის მქონე მდინარე ევროპაში (6). 13. ვინ იყო თითოეული მათგანი, ვინც ჰიტლერის დიქტატურას ვერ ურიგდებოდა? (5). 14. არსება, რომელიც „ბალახში იჯდა“ ერთი ცნობილი რუსული სიმღერის თანახმად (3). 15. სულ უკანასკნელ ხანს სახელშეცვლილი აზიური სახელმწიფოს ძველი სახელი (6). 16. ცის თაღის დიდი წრე, რაზედაც მზის წლიური ხილული მოძრაობა მიმდინარეობს (10). 17. სრული და საბედისწერო მარცხი (3). 18. ერთ-ერთი იმ მცენარეთაგანი, რომელიც ევროპაში XV საუკუნეში გამოჩნდა (2). 19. ასე ვთქვათ, ბოჰემის მოყვარული ღირსეული კაცი (4). 20. ამა თუ იმ სფეროს ასაკოვანი ლიდერი (ასე ვთქვათ) (4). 21. თავის კოლეგებში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მღრღნელი (5). 22. ამა თუ იმ სფეროსათვის დამახასიათებელი სპეციალური სამოსი (6). 23. რკინის სახელი... როცა ის „ზურაბის როლში გამოდის“ (5). 24. საოპერო მომღერალ მამაკაცთა ნაწილი (4). 25. თითოეული მათგანის სამომთაბარეო ტიტული, ვისზედაც მოჰამედმა თავისი რელიგია გათვალა (6). 26. მავანი ტაია... დიდი კონსტანტინეს შემოქმედებიდან (5). 27. XVIII საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსი განმანათლებელი (6). 28. წონის არატრადიციული ერთეული (7). 29. ვარაუდის გამომხატველი სიტყვა (1). 30. ალტრუიზმით შეპყრობილი ადამიანი... კარგი გაგებით (4). 31. ერთ-ერთი ყოფილი სახელმწიფო სოციალისტური ბანაკისა (3). 32. აღტაცების გამომხატველი სიტყვა, რომელსაც არასაზეიმო ვითარებაში ძნელად თუ იტყვის კაცი (2). 33. მოსკოვის „სპარტაკის“ ერთ-ერთი ბრაზილიელი ლეგიონერი (8). 34. ტატო კოტეტიშვილის რეჟისორობით შექმნილი ფილმი (7). 35. კარგი ამბის მთქმელის ენისათვის განკუთვნილი პროდუქტი (2). 36. ასეთ პოეტურ ქმნილებას სხვაგვარად „პანეგერიკი“ შეიძლება ვუწოდოთ... რა იგულისხმება? (4).

შეადგინა ლევან ელერდაშვილმა

გაზეთ „ფანტაზია-2000“-ის რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს თამარ შინჯიკაშვილს და უსურვებს დიდ ბედნიერებას!



# მე კროსვორდი მისთვის მინდა, რომ გონებას მსახურებდეს

**თარაზულად**: 1. ვინაა აკაკი ასათიანი? 11. რუსთავი-2-ის მშვენიერი დიქტორი. 12. გივი ჩოხელი, გიული ჩოხელი... კიდევ რომელი ჩოხელი? 13. მცირე აზიის ისტორიული სახელმწიფო. 14. ძველრომაული მითოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქალბატონი. 15. (***პირველი საპრიზო კითხვა***) **ყველაზე ცნობილი პერსონაჟი ქალბატონი დინარა ჟორჟოლიანის კინოგალერეიდან.** 17. ავტორი სიტყვებისა:

`gareT civa, qris qari,
mTvare vaxSmobs muxebSi,
daxSulia WiSkari,
adevs klite uxeSi~ da a.S.`

19. ლატვიელი მწერალი, ანდრეის... 20. XIX ს ცნობილი ინგლისელი გამომგონებელი. 22. ინდივიდის ან ჯგუფის თვისებათა ერთობლიობის მანიშნებელი აწ პოპულარული სიტყვა. 25. განახლებისათვის გატარებული ღონისძიების ზოგადი სახელი. 27. სასცენო ინვენტარი. 30. ცნობილი ქართველი კინომსახიობი მამაკაცი. 31. ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ზოლი ესპანეთ-საფრანგეთ-იტალიას შორის. 34. გერმანიაში - ბუნდესლიგა, ინგლისში - ???? 35. სოფელი, რომელსაც ჩვენი ისტორიის ცნობილი საეკლესიო კრება უკავშირდება. 36. ნერვის ანთების სახესხვაობა. 38. (***მეორე საპრიზო კითხვა***) **იხილეთ ფოტო და გაიხსენეთ მისი გვარი.** 42. ემიგრაციაში მოღვაწე ცნობილი რუსი მწერალი. 44. სიმდიდრის გამომხატველი უკიდურესი რიცხვი. 46. ჩრდილოეთ კავკასიის მინერალური წყალი. 47. უფერო გაზი (გნებავთ, ფორმულასაც მოგახსენებთ - $CH_2=CH-CH=CH_2$ თუ ეს „უბედურება“ შეგვეშალა, იმედია, გვაპატიებთ). 48. ფაუნის წარმომადგენელთა სამკურნალო დარგი.

Угадай мелодию

49. (***მესამე საპრიზო კითხვა***) **მთავარი პერსონაჟი ერთი ჩვენი ფოლკლორული სიმღერისა, რომელმაც იმედი გაუცრუა თავის ახლობლებს და სიმებიანი ინსტრუმენტების აკომპანემენტით ერთი ჩვენი პოპულარული საკვები მიირთვა.**

**შვეულად**: 2. ერთ-ერთი სახელმწიფოს დაზვერვის წარმომადგენელი მეორე სახელმწიფოში. 3. სიტყვა, რომელიც ავღანელის სინონიმად იქცა 80-იანი წლების საბჭოეთში. 4. მადამ ტიუსოს შემოქმედების აუცილებელი ნედლეული. 5. შვეიცარული საათების ფირმა. 6. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ფეხბურთში. 7. ელემენტი, რომელიც ქიმიას და მედიცინას მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთთან. 8. ერთგვარი გასანათებელი დანადგარი. 9. (***მეოთხე საპრიზო კითხვა***) **მავანი ფაინზილბერგის უფრო ცნობილი ფსევდონიმი**. 10. ალკალოიდი... ძლიერი შხამი. 16. (***მეხუთე საპრიზო კითხვა***) **მიხაი ზიჩი ჩვენთვის ყველაზე ნაცნობი უნგრელია, მაგრამ არსებობს მეორე უნგრელიც, რომლის სახელი ყველას გვეკერა პირზე... ანუ?**. 17. ინგლისელი ფეხბურთელი. 18. „არის ასეთი სითხე ღვთიური...“. 21. გრაფი სეგედის (იგიც უნგრელია!...) როლშია.. 23. ქალაქი ინგრიდ ბერგმანის სამშობლოში. 24. ჩვენი კონიაკი. 26. ავტორი რომანისა, რომელიც შვეულ №28-ში ნაგულისხმევი ქვეყნის დედოფალს ეხება. 28. ისტორიული ქვეყანა აფრიკის ჩრდილოეთ ნაწილში. 29. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ფეხბურთში. 32. (***მეექვსე საპრიზო კითხვა***) **40-იანი წლების თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი.** 33. ივანე მრისხენეს მიერ გატარებული რეფორმების ზოგადი სახელი. 37. ძველბერძენი ფილოსოფოსი. 39. ხორცის პროდუქტი. 40. (***მეშვიდე საპრიზო კითხვა***) **ეს ჩეხი კაცი ჩვენთვის, ალბათ, ყველაზე ნაცნობია სხვა ჩეხებს შორის, თუმცა ნაკლებად გვაქვს გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ მან თავისი იუმორით გერმანული ნაციზმიც კი შეაზანზარა... ანუ?** 41. ქართველი მსახიობი ქალბატონი. 43. (***მერვე საპრიზო კითხვა ანუ შევამოწმოთ თქვენი დამოკიდებულება ჩვენს გაზეთთან***) **ვინ იდგა ამ სიტყვების უკან „ფანტაზიაში“ სულ ახლახანს:** მწერალი, პოეტი, ესეისტი, რომანი „მოსწავლე (რელიგიური მორალის ქადაგება). 45. სამგზავრო ჩანთა.



**შემდეგი ტურიდან გამოქვეყნდება 4 სიტყვიანი ე.წ. „საპრემიო კროსვორდები“, სადაც თითოეული ამოცნობილი სიტყვა 2 ქულის ტოლფასი იქნება; ასე რომ, თამაში ჯერ კიდევ ექნება აზრი.**

გმადლობთ ყურადღებისათვის! პატივისცემით, ალ. ელერდაშვილი

**„ფანტაზიის“ ახალ მკითხველებს გვსურს ვაცნობოთ (...და გავაცნოთ), რომ ტურნირში მონაწილეობს ჩვენი გასული ჩემპიონატების კიდევ ერთი გამარჯვებული, ბატონი ზურა სესიტაშვილი.**

**გთავაზობთ „მალულას“ მეექვსე საპრიზო ტურს: მონიშნული სიტყვები საპრიზოა. ყველაზე მეტი საპრიზო ქულის მფლობელს საჩუქრად გადაეცემა მობილური ტელეფონი. პასუხები მეექვსე ტურის კროსვორდზე მიიღება მხოლოდ გაზეთის გამოსვლის დღეს, 9 მარტს, საღამოს, საათნახევრის განმავლობაში 18-დან 19 სთ. 30 წუთამდე; გარდა ადრინდელი ორი ტელეფონისა - 79-53-70 და (877) 45-19-80, თქვენს განკარგულებაში იქნება მესამეც - (877) 71-98-40**

# მეექვსე ტური

**დღევანდელ ტურში 9 საპრიზო კითხვაა, რომელთაგან ფოტოს ამოცნობა 2-ქულიანია; ასე რომ, თამაშდება 10 ქულა.**




## მეცხრე, ორქულიანი საპრიზო კითხვა

**ვინ იმალება კროსვორდის უკან (სახელი და გვარი)? დაგეხმარებით მხოლოდ იმით, რომ მის ზოგიერთ ნაწარმოებს შეგახსენებთ:**

**1984** - ENTRE TINIEBLAS. **1985** - TRAYLER PARA AMANTES DE LO PROHIBIDO. **1985** - QUE HE HECHO YO PARA MERECER ESTO? **1986** – MATADOR. **1988** - MUJERES AL BORDE DE UN ATAQUE DE NERVIOS

## გასული ნომრის „მალულას“ პასუხები






## სატურნირო მდგომარეობა ხუთი ტურის შემდეგ

**ლიდერები: 27 ქულა** - ზაზა ჩეკურიშვილი. **26 ქულა** - გია გიორგაძე. **24 ქულა** - გიორგი ჩხეიძე.

**23 ქულა** - ალიკო ალიმბარაშვილი, მაკა კახნიაური, ვაჟა პაპუაშვილი, ზურა სესიტაშვილი, თამაზ ღონღაძე, გივი გოგოლაშვილი. **22 ქულა** - თამრიკო დამენია, ირაკლი გიგაური. **21 ქულა** - გოჩა თოდუა, დავით მაისურაძე.

**მე-13 ადგილი – ლილე აქუბარდია – 21 ქულა.**

**19 ქულა** - ლევან აგლაძე, კობა დალაქიშვილი. **18 ქულა** - გიგი იაშვილი, მანანა ბუქლულაშვილი, იური გაბრიელიძე, ეთერ მიქაძე, ნათია ჩუბინიძე. **17 ქულა** - ელეონორა ფურცელაძე. **16 ქულა** - დიანა, ვართანიანი, გოჩა ლობჟანიძე, დიანა კეკელაშვილი, ნუკრი მაისურაძე. **15 ქულა** - თამუნა კაციტაძე. **14 ქულა** - მარინა ხაჩირაშვილი.

**13 ქულა** - ირაკლი მირცხულავა. **11 ქულა** - იზო სალუქვაძე, ნუნუ გურგენიძე, დარეჯან ვასაძე. **10 ქულა** - ვახტანგ ჭიაბრიშვილი, ვახტანგ ნანავა. **9 ქულა** - თამთა ცომაია. **8 ქულა** - დათო ჭილიტაშვილი, თამთა ლორთქიფანიძე. **7 ქულა** - კოტე ხუციშვილი. **6 ქულა** - დავით გაგნიძე, ნიკოლოზ დანდლიშვილი, მერი კირვალიძე. **5 ქულა** - ჯაბუ ბოხაშვილი, შალვა გველესიანი. **4 ქულა** - ოთო გიორგაძე, თამაზ დვალი, ქეთინო ჩაჩანიძე, სოფიკო ჩივაძე, ქეთინო ურუშაძე.

**იმისათვის, რომ „ქვემოთები“ არ გაგვინაწყენდნენ და თამაში არ შეწყვიტონ, ვაწესებთ ე.წ. მე-13 ადგილის პრიზს (მსოფლიო კინოს შედევრებით ჩაწერილ სამ ვიდეოკასეტას!)**

**თარაზულად:** 1. ეგრეთწოდებული „კუდიანი ვარსკვლავი“. 4. ჰოლივუდელი კინორეჟისორი, შემქმნელი გახმაურებული და სკანდალური ფილმისა „ფართოდ დახუჭული თვალები“. 7. თანამედროვე რუსი მუსიკოსი, ხელმძღვანელი კამერული ორკესტრისა „მოსკოვის ვირტუოზები“. 11. ბარბარა სტრეიზანდი ერთადერთი ქალბატონია, რომელსაც მოპოვებული აქვს ეს 4 პრემია: „ოსკარი“, „ოქროს გლობისი“, „ემი“.... და რა? 18. შენობა თბილისში, რომელსაც მწვანე მუზა დარაჯობს. 19. დავით კლდიაშვილისეული აზნაურის გვარი. 20. დათო ტურაშვილისათვის მეტად ახლობელი ნეპალის დედაქალაქი. 23. **იხილეთ ფოტო**. 24. პირველი კოსმონავტი ქალის გვარი გაიხსენეთ აქ. 25. თუ იცით როგორ, გამოითქმის ძველბერძნულად სიტყვა „უცხო“, მაშინ არ გაგიჭირდებათ გაიხსენოთ ქიმიური ელემენტი, რომელსაც სახელი ხსენებულმა სიტყვამ შეუქმნა. 26. ყველაზე დიდი ტბა იაპონიაში, ჰონსიუს კუნძულზე. 31. რა არისო დუმილი, რას ამბობდნენ ერთდროს? 32. აშშ-ს წარმოების მსუბუქი ავტომობილი. 33. მათემატიკური ცნება, რომელიც გალაკტიონმა ერთ ლექსში „ცხენთა შეჯიბრებას“ დაუკავშირა. 34. პატარა ზომის ჩიტი, იგივე სკვინჩა. 38. პირველი სათამაშო საჭადრაკო მანქანის სახელი. 39. რა ერქვათ ფრანგ პოეტ შენიეს და მხატვარ მასონს? 40. ცნობილი რუსი კინორეჟისორი, თუნდაც ფილმებით „ყვავის ქალი“ და „აელიტა“. 45. მათემატიკის ნაწილი, რომელიც ყველას აქვს ნასწავლი სკოლაში. 46. იგივეა, რაც კატის კნუტი. 47. სულის აღუშფოთველობა, სულიერი სიმშვიდე, ანუ რა? 51. მარჯვე, ეფექტური ხერხი ბრბოზე შთაბეჭდილების მოხდენისა. 52. მრუდი ხაზი, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს მიმართული სიდიდეების, ანუ ვექტორების ცვლილებას. 53. ამ ბოლო დროს მეტად გაპოპულარებული ფანტასტიური ტრილერი ლოურენს ფიშბერნისა და კიანუ რივზის მონაწილეობით. 54. გამადიდებელი საშუალება. 58. როგორია ტანად დიდი და მოხდენილი აგებულების ადამიანი? 59. ღვინის სასმისი. 60. კეთილხმოვანება, ანუ რა? 61. ჩეჩნეთის მეზობელი და მოსაზღვრე. 66. სანკტ-პეტერბურგის დედა-მდინარე. 67. მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „ლონდრე“. 68. მუსლიმანთა მთავარი დღესასწაული. 69. პალმის ნაყოფი. 73. თანამედროვე ჩილელი ფეხბურთელი რომის „ლაციოდან“. 74. ალექსანდრე ყაზბეგისეული პერსონაჟი ქალი. 75. რა ეწოდება გადაჭარბებულ თავმოყვარეობას? 76. პირველი ქართველი ქრისტიანი დედოფალი. 81. ძველ ბერძნულ მითოლოგიაში თებეს მეფე და ანტიგონეს ბიძა. 82. თანამედროვე ჩეხი მწერალი, ავტორი რომანისა „ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე“. 83. ძაღლის მეძებარი ჯიში. 88. გარდაქმნა, სახეცვლილება... ოღონდ არაქართულად. 89. სცენიურსამწერლო ხელოვნების სახესხვაობა. 90. შხამიანი ბუზი. 94. რუსული ესტრადის მომღერალი მამაკაცი. 95. ალისასთან დაწყვილებული კატა. 96. გილიოტინაზე სიკვდილით დასჯილი ფრანგი პოეტი, რომელსაც ალექსანდრე პუშკინმა ლექსი მიუძღვნა. 97. ქალაქი და პორტი აშშ-ში, ალასკის შტატში. 101. ნოდარ დუმბაძიესეული პერსონაჟი ქალი. 102. ქალაქი სამხრეთ თურქეთში. 103. ქვეყნის უმთავრესი კანონი. 104. ქალაქი სლოვაკეთში, რომელსაც სპორტის მოყვარულების უმეტესობა ფეხბურთის წყალობით იცნობენ. 108. რა ერქვა თენცინგს, წარმოშობით შერპს, რომელმაც 1953 წლის 30 მარტს ედმუნდ ჰილარისთან ერთად პირველად დალაშქრა ჯომოლუნგმა? 109. დისციპლინა, რომელიც კულინარიის, ანუ გემრიელი საჭმელების მომზადების ცოდნას ეხება. 110. რა ეწოდება ყოველ რელიგიას, რომელიც რელიგიის სტატუსს კარგავს, ან უკვე დაკარგა? 114. პალესტინის, სირიის და ფინიკიის უძველესი სახელწოდება, რომლითაც ის მოხსენიებულია ბიბლიაში. 115. ქალაქი უკრაინაში, ლვოვის ოლქში. 116. XIX ს ქართველი მწერალი, რომელსაც ერგო პატივი დავით აღმაშენებლის გამზირის პარალელური ქუჩის ნათლია იყოს. 121. ისტორიული ოლქი შუა აზიაში, მდინარე ამუდარიის ზემო წელში. 122. ძველი მხატვრული ფილმი ლიუბოვ ორლოვას მონაწილეობით. 123. ეკატერინბურგის ყოფილი სახელი. 124. გულგაუტეხელი, ყოჩაღი, ენერგიული და დაუზარელი, ანუ როგორი? 129. ეპილეფსიის სიმპტომები, რომელიც წინ უსწრებს დაავადების შეტევას. 130. შტატი ჩრდილო-აღმოსავლეთ მექსიკაში... სწორედ იქ ვითარდება მოვლენები მაქს ფრიშის რომან „**Homo Faber**“-ში. 131. თავხედი, ურცხვი და უტიფარი გოგონა. 132. სახელმწიფოებს შორის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმა. 136. ბრიჯიტ ბარდოს კინოროლი. 137. ყვითელი ფერის გამჭირვალე ფისოვანი ნივთიერება. 138. ქვეყნის ტერიტორიაზე საქონლის იმპორტის და ექსპორტის აკრძალვა. 139. რა პროფესიისაა ტევიე შოლომ-ალეიხემის ცნობილ მოთხრობაში? 144. რა ჰქვია კაცს, რომელსაც ურთიერთობა აქვს ძვირფას ქვებთან და ლითონებთან? 145. XVIII ს ინგლისელი ფერმწერი, ჯოშუა... 146. მეტად უამური სუნის მქონე ყვავილოვან მცენარეთა გვარი ცხრატყავასებრთა ოჯახისა. 151. რა არის კჟიშტოფ კიესლოვსკის, პოლონელი კინორეჟისორის, ფილმების - „თეთრის“, „ლურჯის“ და „წითლის“ საერთო სახელწოდება? 152. პორტის საზღვრებში მოქცეული წყლის სივრცე. 153. მეტყველების ნაწილი ქართულ ენაში. 154. ვინმეს გულის მოსაგებად თქმული ლამაზი სიტყვა. 155. სპეციალურად მოყვანილი მწვანე მცენარის ჩახვნა ნიადაგის გასანაყოფიერებლად. 156. XX ს რუსი საბჭოთა მწერალი. ვლადიმირ... ავტორი რომანისა „მეხსიერება“.



**შვეულად:** 1. რა ჰქვია ეტლში ადგილს, სადაც მეეტლე ზის? 2. სპილენძის შენადნობი ნიკელთან. 3. რა ეწოდება მსხვერპლად შესაწირ ბატკანს? 5. კავშირის ან გაერთიანების სახესხვაობა. 6. XIX ს ფრანგი ფიზიკოსი, ბენუა პოლ ემილ... ყველას გაუგია მისი გვარი, ვინც სკოლაში ფიზიკის გაკვეთილებს არ აცდენდა. 8. ბუნების დიდი მესაიდუმლე რუსი მწერალი, მიხაილ მიხაილოვიჩ... 9. გაუმარჯოს! - ლათინურად. 10. გასულ საუკუნეებში პოპულარული, ამჯერად კი მივიწყებული გაქართულებული სახელი მამაკაცისა. 12. ქალაქი, სადაც ოდრი ჰეპბერნმა და გრეგორი პეკმა არდადეგები გაატარეს. 13. სახელი, რომლითაც მოიხსენიებენ ფრანგები ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს. 14. რამდენიმე მსხვილი ბანკის გაერთიანება, რომლის ნათელი მაგალითიც ჩვენი „გაერთიანებული ქართული ბანკია“. 15. ყველაზე რბილი თეთრი ან მომწვანო მინერალი. 16. ნივთი, რომლის სახელიც ფრანგულად „ცხვირის დამმალავს“ ნიშნავს. 17. ვაშლის ჯიში. 21. „სამეფო“ - ესპანურად და პორტუგალიურად. 22. პოლარიზებული სინათლის დასაფიქსირებელი ხელსაწყო ფიზიკაში. 27. რა ერქვა ინგლისელ მწერალს, მოემს? 28. სოკოვანი დაავადების საწინააღმდეგო სამედიცინო პრეპარატი. 29. ქართველი მწერალი, დუტუ... ავტორი ლექსისა „მე პატარა ქართველი ვარ“. 30. ჩარლზ დიკენსისეული პერსონაჟის, მისტერის გვარი. 35. საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი 1983 და 1989 წლებში. 36. გვარი ვენელი ექიმისა, რომელთან ერთადაც მუშაობდა ზიგმუნდ ფროიდი და რომელმაც შექმნა ფსიქოანალიზის საწყისები. 37. ქვანახშირის ფისების გამოხდით მიღებული ნახშირწყალბადი. 41. ჭიაბერის მკვლელი ხატი კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“. 42. ადამიანის განვითარების დონე. 43. ყველაზე დიდი ამერიკელი გამომგონებელი კაცობრიობის ისტორიაში. 44. ნაირ-ნაირი იაფფასიანი ქვისაგან დამზადებული ქალის სამკაული. 48. პირველი რუსი ნობელის პრემიის ლაურეატი. 49. მსოფლიოს ჩემპიონი პროფესიონალურ კრივში, პრიმო... ჩვენ უკვე დავწერეთ მის შესახებ სტატია. 50. რა ეწოდებოდათ იმ ძირძველ მოსახლეობას, რომლებიც სახლობდნენ კუნძულ სიტეზე და რომლებმაც პარიზს სახელწოდება შეუქმნეს? 55. რა ჰქვია პოლონელ კინორეჟისორს, ვაიდას? 56. ბენვენუტო ჩელინის ცხოვრების ამსახავი რომანი ალექსანდრე დიუმა-მამისა. 57. საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის ერთ-ერთი სტუდია.62. ერთწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ქოლგოსანთა ოჯახისა. 63. ძაფის დასართავი ინვენტარი. 64. ძველი ბერძენი და რომაელი მამაკაცების სამოსი. 65. ქალაქი ჩრდ.-დას. ინდოეთში სიკჰთა მთავარი რელიგიური ცენტრი. 70. ვარსკვლავების ჭვრეტით დაკავებული მეცნიერი. 71. გერმანელი ფერმწერი და გრაფიკოსი, ალბრეჰტ... (1471-1528). 72. პლანეტა სატურნის თანამგზავრი. 77. რუსეთში მოღვაწე ფრანგი არქიტექტორი, რომელმაც სანკტ-პეტერბურგს „ისააკის ტაძარი“ და „ალექსანდრეს სვეტი“ აჩუქა. 78. XVII ს ესპანელი ფერმწერი, ავტორი ნახატისა „ბიჭები ხილით“. 79. ფულადი გადასახადი, რომელსაც ომში გამარჯვებული მხარე დამარცხებულას აკისრებს. 80. ქალაქ ჰალიკარნასის დედოფალი და ტირან მავზოლეუსის მეუღლე, რომელმაც ქმარს მსოფლიოში პირველი მავზოლეუმი აუგო. 84. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, რომელსაც მიაჩნდა, რომ ბუნებაში ადამიანი ყველაფრის საზომია. 85. რა ჰქვია მხატვარს, რომელიც ძირითადად ბრძოლების ამსახველ ტილოებს ქმნის? 86. ბოროტების რა იყო საბჭოთა კავშირი რონალდ რეიგანის ერთი ცნობილი გამონათქვამის თანახმად? 87. ცენტრს მოშორებული რეგიონი. 91. ძლიერი მომწამვლავი საშუალება. 92. უჯრედის შემსწავლელი მეცნიერება. 93. რუსი კონსტრუქტორი და მეცნიერი, შემქმნელი დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრისა. 98. ძველი ეგვიპტის მმართველთა ტიტული. 99. რა ერქვა როსტროპოვიჩს, შესანიშნავ მუსიკოსს? 100. კამენევთან და სტალინთან ერთად ტროცკისტების წინააღმდეგ მებრძოლი რუსი რევოლუციური მოღვაწე. 105. აქვს ასეთი ფილმი პოლ ვერჰოვენს დენის რიჩარდსის მონაწილეობით „კოსმიური .....(რა?)“. 106. იგივე ასტროლოგიური პროგნოზი. 107. რა გვარია დიდოსტატ კონტანტინე არსაკიძის სატრფო? 111. საქართველოში მეტად პოპულარულ შეჯიბრებაში დასაკრავი მუსიკა. 112. XVII ს ნიდერლანდელი ფერმწერი, ალლარტ ვან... 113. საბჭოეთის ეპოქის ყველაზე ტიტულოვანი კიეველი ფეხბურთელი. 117. ხორვატიის დედაქალაქი მდინარე სავაზე. 118. ქალაქი რუსეთში, სტავროპოლის მხარეში. 119. ძველი ებრაული ანბანის პირველი ასოც და ხორხე ლუის ბორხესის მოთხრობების კრებულიც. 120. ქალაქი დიდ ბრიტანეთში, ინგლისის ტერიტორიაზე. 125. ნახშირმჟავა მარილი. 126. ისრების ჩასაწყობი ყუთი. 127. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი ვაჭარი. 128. კვერცხის გულისა და ზეთისაგან მომზადებული ძმრით, მდოგვით და სხვა სანელებლებით შეზავებული საწებელი. 133. ქალაქი, საითკენაც გაეშურა დარლინგტონიდან სტეფენსონის მიერ შექმნილი პირველი მატარებელი. 134. გვარი ლიტერატურული პერსონაჟი ქალისა, რომელიც სანკტ-პეტერბურგიდან მოსკოვში ძმის ოჯახური პრობლემების მოსაგვარებლად ჩავიდა და შემდგომში თვითონ გაიჩინა პრობლემები პირად ცხოვრებაში. 135. მედუზა გორგონას მკვლელი ძველ ბერძნულ მითოლოგიაში. 140. წმინდა ესპანური სანახაობა. 141. ერთგვარი ხილი. 142. მთათა სისტემა სამხრეთ ციმბირში. 143. ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს ქვეყნის მეთაური. 147. რა ჰქონდა 5 ცალის ოდენობით ოთარაანთ ქვრივს? 148. რა ჰქვია თანამედროვე ქართველ პოეტს, ყუბანეიშვილს? 149. კლავიშა კომპიუტერის კლავიატურაზე. 150. გამოუვალი მდგომარეობა.

**შეადგინა ვახო ელერდაშვილმა**



**დარეკეთ 79-53-70, (8.77) 45-19-80 (8.77) 71-98-40 გაზეთის გამოსვლის დღეს საღამოს 18-დან 19 სთ და 30 წუთამდე და გაეცით პასუხები მოცემულ 15 შეკითხვას. მარტში ოთხი ტური ჩატარდება: მესამე ადგილზე გასული მიიღებს 20 ლარს, მეორე ადგილზე გასული - 50 ლარს; გამარჯვებული - „ყველაზე ჭკვიანის“ ტიტულს!**

**მარტის პირველი ტურის პასუხები:** 1. კბილებზე. 2. ყვავს (ლაპარაკია ბანქოს მასტზე). 3. ფულჰაუზი. 4. ჯეინ მენსფილდი. 5. საგიჟეთს (ბედლამი). 6. ენაზე კბილის დაჭერა. 7. ვალტერ სკოტის. 8. გველი. 9. შავი ზღვა. 10. გიორგი ერისთავის. 11. „მაკბეტი“. 12. რეიკიავიკში. 13. მონოპოლია. 14. პეპელა. 15. ყანჩის.

**შედეგები: 13 ქულა** - ლილე აქუბარდია, რუსუდან გურგენიძე, თეა პირველი (ქალბატონ თეას, როგორც პირველად ჩართულს ჩვენს ტურნირში და პირველ ადგილზე მყოფს, **სილამაზის სალონ „ფანტაზიაში“** უფასოდ მოემსახურებიან - *თმის შეჭრა, დავარცხნა, მანიკური* - **ჭავჭავაძის 55**). **12 ქულა** - თამუნა კაციტაძე. **11** - ნუკრი მაისურაძე, ალექსანდრე თვარაძე. **10** - ბექა გურგენიძე, გიორგი გვასალია, შალვა გველესიანი, ნუნუ გურგენიძე. **9** - ვაჟა პაპუაშვილი, თინა ფურცელაძე, დათო ჭილიტაშვილი. **8** - ალიკო ალიმბარაშვილი, გოჩა დალაქიშვილი, კობა დალაქიშვილი, ირმა ბერიაშვილი, დიანა ვართანიანი, დავით გაგნიძე, ელეონორა ფურცელაძე. **7** - რუსუდან ლობჟანიძე, ზურა სესიტაშვილი, ლალი იმედაიშვილი, ნიკა სულაბერიძე, მადონა ხეცაძე, სოფიკო დუნდუა. **6** - ლელა დემაზაშვილი. **5** - ნატა ჩხეიძე. **4** - ვახტანგ ნანავა, **2 ქულა** - ოთო გიორგაძე.

## *ვინ არის ყველაზე ჭკვიანი მარტში? 9 მარტი, 18.00-19.30.*


ა


ბ


გ


დ

**1. *ეს* არის ფილოსოფიისა და ხელოვნების სიყვარულის შედეგად ჩასახული მახვილგონიერი პირმშო. ფილოსოფიისაგან მას კითხვების დასმის მანერა ერგო, ხელოვნებისაგან კი - კითხვებზე პასუხის გაცემის მანერა... რა ჰქონდა მხედველობაში ამ აფორიზმში გერჰარდ ბრანსტნერს?** ა) კინემატოგრაფი ბ) აფორიზმი გ) სიმღერა დ) ბიბლია

**2. რომელი ლიტერატურული პერსონაჟის საყვარელი წიგნია ჰერბერტ სპენსერის „სოციოლოგია“?** ა) დორიან გრეის ბ) ტომ სოიერის გ) მარტინ იდენის დ) როდიონ რასკოლნიკოვის

**3. რა ფერისაა ჟირაფის ენა?** ა) შავი ბ) წითელი გ) ვარდისფერი დ) თეთრი

**4. ძველ რომში არსებობდა თამაში, რომელსაც რომაელები ეძახოდნენ** - Ludus Duodecim Scriptorum **- ანუ „თამაში 12 ხაზით“... რას ვეძახით ამ თამაშს ჩვენ?** ა) მარულას ბ) ნარდს გ) ლელოს დ) კიორლინგს

**5. ვისი მეუღლე იყო ლინდა ისტმენი?** ა) პოლ მაკარტნის ბ) ალბერტ აინშტაინის გ) ზიგმუნდ ფროიდის დ) მიკ ჯაგერის

**6. რომელმა არაპროფესიონალმა მსახიობმა ითამაშა ელდარ რიაზანოვის პრაქტიკულად ყველა ფილმში?** ა) ლია ახეჯაკოვამ. ბ) სერგეი ილინმა. გ) გიორგი დანელიამ. დ) ელდარ რიაზანოვმა.

**7. რა ეწოდება შეფარდებას, რა შეფარდებითაც ყოფს წესიერ ხუთკუთხედში გავლებული დიაგონალი სხვა ორი წვეროდან გამომავალ თითოეულ დიაგონალს?** ა) ოქროს შუალედი ბ) ოქროს კვეთა გ) დიაგონალური კვეთა დ) დიაგონალური შუალედი

**8. მთელ მსოფლიოში მისი დიამეტრი უდრის 13 მეტრს... ეს არის?** ა) ცირკის არენა ბ) ფეხბურთის მოედნის ცენტრი გ) ქალაქის ცენტრალური მოედანი დ) სექტორი, საიდანაც ბადროს ტყორცნიან.

**9. რამდენ დოლარიან კუპიურაზეა გამოსახული პრეზიდენტი, რომლის სახელიც ემთხვევა ცნობილი ირლანდიელი მწერლის რომანს და ჰომეროსის გმირის ლათინიზირებულ ვარიანტს?** ა) 10-ზე ბ) 20-ზე გ) 50-ზე დ) 100-ზე

**10. ძაღლი - 78, მტრედი - 80, შიმპანზე - 48, ვირი - 62, ადამიანი - (რამდენი?).** ა) 32 ბ) 46 გ) 39 დ) 45

**11. რომელი ფილმი არ გადაუღია ბერნარდო ბერტოლუჩის?** ა) პატარა ბუდა ბ) უკანასკნელი იმპერატორი გ) უკანასკნელი ტანგო პარიზში დ) კალიგულა

**12. ერთადერთი ცხოველი, რომელსაც არ შეუძლია ხტუნვა არის:** ა) სპილო ბ) მანგუსტი გ) თხუნელა დ) ბიზონი

**13. როგორი ქალები არიან ყველაზე ერთგულები იმანუილ კანტის აზრით?** ა) ქერა ქალები ბ) ჭაღარა ქალები გ) შავგვრემანი ქალები დ) გერმანელი ქალები

**14. რომელ წელს ამუშავდა მეტროს სადგური „300 არაგველი“** ა) 1969 წელს ბ) 1967 წელს გ) 1971 წელს დ) 1966 წელს.

**15. იხილეთ ფოტოები და მოგვახსენეთ - რომელი მათგანია მსახიობი სიბილ შეპარდი?**




**ტურნირი ჩატარდება 12 ტურად.**

**თქვენ უნდა ამოიცნოთ სამივე კითხვა, რათა დაიმსახუროთ ტურში დაწესებული პრემია 10 ლარი (რამოდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში ეს თანხა დანაწილდება).**

**ტურნირის საბოლოო გამარჯვებული დამატებით მიიღებს კიდევ 10 ლარს, ასე რომ, მთელი ტურნირის საპრიზო ფონდი შეადგენს 120+10 ლარს.**

**მოგებული თანხა გაიცემა ყოველი ოთხი ტურის შემდეგ.**

**დაგვირეკეთ მხოლოდდამხოლოდ შაბათს მხოლოდდამხოლოდ 18-დან 19 საათსა და 30 წუთამდე ტელეფონებზე 79-53-70 ან 8.77. 45-19-80**

### მესამე ტურის პასუხები და შედეგები

1. ნული (სიცარიელე, ვაკუმი და მისთანანი არ ითვლება. 2. „უშვილოა“ კაცი, რომელსაც მხოლოდ ქალიშვილები ჰყავს. 3. ისკანდერი (იგულისხმება ალექსანდრე მაკედონელი)

მესამე ტურში მონაწილეობა მიიღო 30-მა მონაწილემ, რომელთაგან 7-მა (დამენია, წიქარიშვილი, ჯუგაშვილი, პაპუაშვილი, დუნდუა, ციქურიშვილი, ელიზბარაშვილი) შეძლო სამივე კითხვის ამოცნობა; ასე რომ მათ შორის განაწილდება 20 ლარი

### სამი ტურის შემდეგ

**7** ქულა - სოფიკო დუნდუა (13 ლარი), ნადეჟდა ელიზბარაშვილი (3 ლარი).

**6** ქულა - ვაჟა პაპუაშვილი (3 ლარი), ნოდარ გოქაძე, მერი მამრიკიშვილი, ზურაბ კიკილაშვილი.

**5** - ნიკოლოზ წიქარიშვილი (3 ლარი), მალხაზ გოგნიაშვილი, ლელა კომახიძე, მერაბ წიკლაური, ანდრო მჭედლიშვილი. **4** - კობა დალაქიშვილი, ვახტანგ ნანავა, ნიკა სულაბერიძე, ივანე ბერიანიძე. **3** - თინათინ ციქურიშვილი (3 ლარი), დიანა საღრიშვილი, ვლადიმერ ყაჯრიშვილი, ალექსი ჯუგაშვილი (3 ლარი), თამრიკო დამენია (3 ლარი). **2** - მარინა ივანიშვილი, შალვა გველესიანი, ლილე აქუბარდია, მადონა ხეცაძე, ნანა მამულაშვილი, ნატო მაღლაკელიძე. **1** - სოლომონ მამუჩიშვილი, იოსებ ჯიქია, მალხაზ პეტრიაშვილი.

### მეოთხე ტური (10 მარტი, 18.00-19.30.)

1. რევოლუციური საბჭოეთის გარიჟრაჟზე მიღებული იყო ახალი სახელების შექმნა, ასე მაგალითად: Рената - “революция, наука, труд”, Лина - “лига наций”.

**რა სახელი იყო გამოხატულება ასეთი წმინდა საბჭოური ცნებისა - „შრომის გმირი“?**

2. 1985 წელს ჰონგკონგში გამოვიდა წიგნი სათაურით „ადამიანთა ქცევის ნორმები“, რომლის ერთ-ერთ განოფილებაში მოყვანილია რჩევები მათთვის, ვინც პირველ პაემანზე წასვლას აპირებს და იქ არის ერთი ასეთი რეკომენდაცია: იმისათვის, რომ გულისსწორი დაარწმუნო, რომ შენ ფიზიკურადაც და ინტელექტუალურადაც ნორმალური ადამიანი ხარ, პაემანზე უნდა გამოცხადდე ორი ნივთით - პირველი მათგანია ჩოგბურთის ჩოგანი...

**მეორე?**

3. მოგეხსენებათ, ქართულ ენაში დღეს საზიზღრად გაბატონდა ქრგონიზირებული რუსული სიტყვები „იმენა, სასტავი, მოშჩნად“ და სხვა. თავად რუსულმა ენამ კი თავის დროზე ლათინური ენის ერთი გრამატიკული ფორმის gerundium-ის სახელი თავის ენის ჯერ ჟარგონულ და შემდეგ ლიტერატურულ ნორმად აქცია.

**რომელი რუსული სიტყვა იგულისხმება?**

### 30 ხაზი 32 სვეტი

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 3 | 5 | 2 | 1 | 2 | | | | 4 | | | | | | | | | | | 9 | 10 | | | | | | | | |
| | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 4 | 9 | 9 | 3 | 3 | | | | | | | | | 11 | 3 | 1 | 11 | | | | | | | |
| 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 4 | 1 | 3 | 5 | 7 | 15 | 10 | | 10 | 8 | 7 | 14 | 14 | 5 | 1 | 2 | 1 | | | 6 | | | | |
| 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 2 | 1 | 1 | 1 | 2 | 3 | 4 | 1 | 3 | 11 | 2 | 4 | 6 | 1 | 2 | 2 | 1 | 1 | 3 | 13 | | 3 | 5 | | | |
| 1 | 1 | 2 | 2 | 3 | 3 | 3 | 4 | 2 | 2 | 2 | 3 | 4 | 3 | 4 | 1 | 2 | 2 | 1 | 4 | 6 | 3 | 2 | 2 | 2 | 3 | 19 | 4 | 4 | 10 | 8 | 6 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | 2 |
| | | | | 4 |
| | | | | 7 |
| | | | | 14 |
| | | 2 | 3 | 10 |
| | 1 | 1 | 3 | 10 |
| | | 2 | 3 | 11 |
| | | 4 | 4 | 12 |
| | | | 10 | 14 |
| | | | 2 | 15 |
| | | 6 | 8 | 8 |
| | | 3 | 8 | 9 |
| | | | 7 | 9 |
| | 2 | 3 | 1 | 11 |
| | 3 | 3 | 6 | 5 |
| | 2 | 2 | 5 | 6 |
| | 1 | 3 | 5 | 6 |
| | 7 | 3 | 4 | 7 |
| | | 7 | 2 | 7 |
| | 5 | 6 | 2 | 4 |
| 1 | 2 | 2 | 5 | 3 |
| | | 3 | 2 | 3 |
| | 3 | 3 | 2 | 3 |
| 2 | 2 | 2 | 1 | 4 |
| | 3 | 2 | 1 | 5 |
| | 3 | 2 | 3 | 4 |
| | | 5 | 2 | 3 |
| | | 6 | 3 | 3 |
| | | | 6 | 7 |
| | | | 8 | 5 |



**თარაზულად**: 1. აშშს პირველი დედაქალაქი. 5. სასოფლო-სამეურნეო მანქანის მმართველი, პროფესია, რომელიც საბჭოთა კავშირში საკმაოდ პრესტიჟულად ითვლებოდა. 12. იგივე სვეტი, ბოძი. 13. სიტყვა, რომელსაც ესპანელი იმ დროს შეჰყვირებს, როცა ჩვეულებრივი ქართველი შეიგინება. 14. მოწყობილობა ავტომობილის ძრავის ასამოქმედებლად. 17. რაიმე ლიტერატურული ნაწარმოების ბოლო ნაწილი. 18. ეპითეტი, რომლითაც შეიძლება შევამკოთ , თუნდაც სოფი ლორენი. 19. ფეხბურთელი, რომელსაც ქალაქ იაუნდეში ძეგლი დაუდგეს. 23. მუსიკალური ინსტრუმენტი. 24. ის, ვისაც არისტოტელე ჭეშმარიტების წინ ვერ აყენებდა. 25. არასტანდარტული წონის მწონე სუბიექტის მოსახსენიებელი სიტყვა. 29. სერვანტესისეულ დულსინეასთან დაკავშირებული გეოგრაფიული ობიექტი. 30. ძველებური ევროპული ფულის ერთეული. 31. საზოგადოებრივ მიღწევათა ერთობლიობა. 35. ბანკში შეტანილი ფული. 36. გენეტიკის ფუძემდებელი. 37. სიცილიის მთავარი ღირშესანიშნაობა, იქაური მაფიის შემდეგ. 41. ის, რასაც პიურე წარმოადგენს კატლეტისთვის, რესტორნების მენიუში. 42. ვენეციური ნავი. 43. გუნდი, რომელმაც მოსკოვის „სპარტაკს" 1995 წელს წაართვა ჩემპიონობა. 47. სახის ნაწილი. 48. საკუთარი თავის სიყვარულის ფორმა. 49. ძველი ანტიკური სამყაროს მცხოვრებთა ფეხსაცმელი. 53. მუზების მთა საბერძნეთში. 54. სკანდალებით ცნობილი ამერიკელი მოკრივე. 55. ინდოელი დიდებული. 59. მილანის „ინტერის" ურუგვაელი ლიდერი. 60. პირველი ტრიუმვირატის წევრი. 61. ადამიანის ნაწლავებში მობინადრე პარაზიტი ჭია. 64. ჟაკლინ კენედის მეორე ქმარი, ცნობილი ბერძენი მილიარდელი. 65. საფოსტო გზავნილის ტიპი. 66. უქარო ამინდი ზღვაზე. 71. შვეიცარიის საფეხბურთო კლუბი. 72. ბუზარის მმართველობის ფორმა ძველად და დუბაისა - დღეს. 73. აშშ-ს შტატი, რომელიც სამოქალაქო ომში სამხრეთულ კოალიციას უჭერდა მხარს. 77. დიდი ზომის ხვლიკი. 78. პეტრე დიდის მიერ მოგებული ბრძოლის ადგილი. 79. ჩვენს ბავშვობაში გავრცელებული ნაყინი. 82. წმინდა ინგლისური თამაში. 83. ავი არსებები სკანდინავიურ ზღაპრებში. 84. ერთ-ერთი პირველი დამოუკიდებელი ქართული ავიაკომპანია. 88. ცნობილი ქიმიკოსი. 89. იოანე-პავლე მეორის ერისკაცობის გვარი. 90. სპარსული ენა. 95. სამკურნალო დეკორატიული მცენარე. 96. ზედა ტანისამოსი. 97. ხიროსიტოც, მონტესუმაც, ვილჰელმ მეორეც, ნიკოლოზ მეორეც. 98. ჰომეროსის თხზულება. 99. მუსლიმანური კანონები, რომლითაც ხელმძღვანელობენ ჩეჩენი ბოევიკები სახელმწიფოს მართვისას. 100. ქალაქი კოლუმბიაში.

**შვეულად**: 1. ფრანგი ფიზიკოსი, რომლის სახელიც ფიგურირებს უმბერტო ეკოს რომანში. 2. არსებები, რომელიც ლემუელ გულივერმა მოინახულა. 3. არსებობენ ყუბანელი, თერგის, იაიკის კაზაკები. კიდევ - სადაურები 4. ლაღი ფრენა. 6. მიუნჰენის "ბაიერნის" ბრაზილიელი თავდამსხმელი. 7. სიტყვა, რომლითაც საკმაოდ ჭკვიან ადამიანს მოიხსენიებენ. 8. მალაზიის შუქფარი. 9. „ჰამლეტის" პერსონაჟი. 10. მიწების ხელოვნური რწყვის ღონისძიება. 11. ნახშირმჟავა მარილი. 15. რას წარმოადგენს ჰულა-ჰუპი თავისი არსით. 16. ძველ ეგვიპტელთა წმინდა ფრინველი. 20. ის, ვისაც ლორან ბლანი თავზე კოცნიდა. 21. შორ მანძილზე მორბენალი. 22. შინაური ცხოველის ნაშიერი. 26. ქიმიური ელემენტი, ინერტული აირი. 27. ჩილეს ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც პინოჩეტიმ დაამხო. 28. წყალბადის ერთ-ერთი იზოტოპის - ტრიტიუმის ბირთვი. 32. მკვიდრი მოსახლე. 33. ალპიური ყვავილი. 34. თურქეთის ბოლო წლების ლიდერი ფეხბურთში. 38. ხალხის უკმაყოფილების ერთ-ერთი ფორმა. 39. ეს სიტყვა ქართულ ჟარგონში უგემოვნო და ჭკუასუსტ ადამიანს აღნიშნავს, ხოლო ძველ ებრაულში კი „უცხოტომელს" ნიშნავდა. 40. მართალი ადამიანის მოსახსენიებელი ეპითეტი. 44. მე-19 ს. ფრანგი მწერალი. 45. დაბა აფხაზეთში. 46. აფროდიტეს მიჯნური ბერძნულ მითოლოგიაში. 50. ლეონიდ გაიდაისეული არყის მხდელების ძაღლის სახელი. 51. ნორვეგიელი ზღვაოსანი, რომელმაც დალაშქრა ჩრდილო პოლუსი. 52. ხეობა საქართველო-რუსეთის საზღვართან. 56. ჩამქრალი ვულკანი სამხრეთ ამერიკაში. 57. წრფე, რომელიც უსასრულოდ უახლოვდება ფუნქციის გრაფიკს. 58. უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა. 62. „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი, ვაჭარი. 63. სიტყვა, რომელიც 100%-ს შეესაბამება. 67. გიორგი კანდელაკის მშობლიური სოფელი ქართლში. 68. უმაღლესი თანამდებობის პირი ძველ საბერძნეთში. 69. ის, რითაც სავსეა პირის ღრუ. 70. უძველესი სახელმწიფო ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე. 74. ქვეყანა შუაგულ ევროპაში, რომლის მოსახლეობა მიგრაციის შედეგად ვოლგის ნაპირებიდან გადასახლდა. 75. ძვ. რომის სრულუფლებიანი მოსახლე. 76. ვან ლევენჰუკის გამოგონება, რომელმაც დაგვანახა მიკროსამყარო. 80. ის, ვისაც ქვაბების შეკეთება ევალება. 81. როგორ შეიძლება მოვიხსენიოთ სხვაგვარად ნატიფი? 85. არგენტინის ყოფილი პრეზიდენტი, საქვეყნოდ ცნობილი ევიტას ქმარი. 86. (.....) დე პეირაკი. 87. პირველი ქართველი იტალიურ ფეხბურთში. 91. აპლოდისმენტების შესაბამისი სიტყვა. 92. (.....) იოსელიანი, მე-20 ს. ქართველი მწერალი. 93. მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა, რომელიც 1970 წ. მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენი გახდა. 94. ტროეპოლსკის შავყურა ძაღლი.

**შეადგინა გოგა ტარიელაშვილმა**

# მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი

## გამოშვება №25, ნაწილი 2




*(გაგრძელება, დასაწყისი გასულ ნომერში)*

...მაშ ასე: ინგრიდ ბერგმანი ორი მამაკაცის დაპირისპირების ობიექტი გახდა: პეტერის, რომელიც უწესიერესი მეოჯახე იყო და რობერტო როსელინის, ვინც მოცემულ მომენტში არასოდეს იცოდა, თუ რამდენი ცოლი, შვილი და საყვარელი ჰყავდა. იმ დროს (1948 წელს) როსელინის 5 სააშკარაოზე გამოყვანილი ცოლი „უმშვენებდა ოჯახს“: 1. მის ამერიკა-46, რომელსაც როსელინი რატომღაც ფილმებში იღებდა... 2. დიდი ანა მანიანი, რომელიც რობერტოს ნამდვილად უყვარდა... 3. სტრიპტიზის მოცეკვავე... 4. ვიღაც უნგრელი ქალი... და ბოლოს - 5. ვიღაც ოფიციალური ცოლი.

### რობერტოს კი ყველაზე მეტად ავტომობილები უყვარდა.

ინგრიდმა და პეტერმა როსელინი საშობაოდ თავისთან, ჰოლივუდის ერთ-ერთ ვილაში მიიწვიეს და მაშინ მოხდა ერთი პატარა (...პატარა, რაც ხშირად დიდი ამბების მიზეზი ხდება) ამბავი:

ინგრიდის ქალიშვილმა, 10 წლის პიამ მშობლებს ველოსიპედის ყიდვა სთხოვა და ინგრიდი ქალიშვილთან ერთად მის შესაძენად გაეშურა. მაღაზიაში კი გოგონას, ველოსიპედის ნაცვლად,გასაბერი ძროხა მოეწონა (...ო, რა მშვენიერი რამ არისო! - ინგრიდსაც აღმოხდა....), მაგრამ ოჯახის უფროსის გადაწყვეტილებით გოგონას მაინც ველოსიპედი უყიდეს,რადგან მას (პეტერს),ცოლის მიერ გამომუშავებული ფულის გადახდა 75$-იან ძროხაში მეტისმეტ ხელგაშლილობად ეჩვენა...

ამასობაში მათთან ჩამოვიდა რობერტო როსელინი, რომელიც მეორე დღესვე, რა თქმა უნდა, ნამდვილი იტალიელივით მოიქცა და მის მასპინძელ ცოლ-ქმარს საჩუქრები მიართვა - უძვირფასესი ჰალსტუხი პეტერს და ორიგინალური ხელჩანთა ინგრიდს. მან არც პატარა პია დატოვა უსაჩუქროდ და მაღაზიიდან სწორედ ის ძროხა „მოუყვანა“, რომელიც გოგონას მამამ სიძვირის გამო არ უყიდა (!!!).

...ყველაზე საინტერესო ისაა, რომ როსელინიმ ამ ყველაფერიში 300$ დახარჯა, რომელიც მასპინძელი პეტერისაგან ისესხა, რადგან თავად მას ერთი გროშიც არ გააჩნდა ჯიბეში.

...ორიოდ თვეში ინგრიდ ბერგმანი რომში როსელინისთან გაემგზავრა. ქალმა თან პირადი ნივთების პატარა ჩემოდანი წაიღო, როგორც ჩვეულებრივ დაიარებოდა ხოლმე გადაღებებზე და ვერავინ იფიქრებდა იმას რომ მას ოჯახში დაბრუნება აღარ ეწერა. ამას თავად ინგრიდიც ვერ იფიქრებდა, მაგრამ...

წარმოიდგინეთ რომი, ფედერიკო ფელინის კომპლიმენტები, ტემპერამენტული თაყვანისმცემლები, ყვავილები, ყვავილები და რობერტოს ვნებიანი მზერა...

### გაუძლებდა ამას რომელიმე ქალი?! ინგრიდმაც ვერ გაუძლო და იგი რომში დარჩა!

...გაზეთებში ჯი გამოჩნდა იტალიის პეიზაჟების ფონზე ხელიხელჩახუტებული ინგრიდისა და რობერტის ფოტოები და... მთელი ამერიკა წყევლა-კრულვითა და გლოვით გამოემშვიდობა მითს ინგრიდ ბერგმანის წმინდანობის შესახებ. მისი და პეტერის ოჯახი წესიერებითა და პატიოსნებით ჰოლივუდში სანიმუშოდ იყო მიჩნეული. პუბლიკას ხიბლავდა ეს ოჯახური იდილია და უცებ!...

### როგორ გაბედა ეს ინგრიდ ბერგმანმა?! ...ვინაა იგი ბოლოსდაბოლოს?!

ინგრიდს მაშინვე შეეძლო ჩაეფარცხა ეს ყველაფერი და პეტერთან დაბრუნებულიყო, მაგრამ მან სიყვარული არჩია ავტორიტეტს და მკაცრადაც დაისაჯა: ჯერ ამერიკამ, შემდეგ შვედეთმა და ბოლოს მთელმა ევროპამ მოიკვეთა იგი... ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და თანაც ისე, რომ პატიების არანაირი შეღავათი არ დაუტოვა - მცირეოდეხნის წინ წმინდანად შერაცხული ქალი ზნედაცემული მეძავის ტიტულებით შეიმოსა.

პეტერს კი ისღა დარჩა სანუგეშოდ, რომ შურისძიების მიზნით განქორწინების პროცესი გულისგამაწვრილებლად გაჭიმა და გაქცეულ ცოლს შვილის ნახვა აუკრძალა.

ინგრიდმა კი როსელინის ბიჭი გაუჩინა.

ასე დაიწყო იტალიაში ფოტოსიგიჟე. რეპორტიორები მიაწყდნენ სამშობიაროს, სადაც ინგრიდი ახლადშობილ ვაჟთან ერთად იწვა, რაღას არ იგონებდნენ ისინი (ფოტოგრაფები), რომ პალატაში შეეღწიათ - მშობიარე ქალად იკატუნებდნენ თავს, ექთნებს უზარმაზარ ქრთამებს აძლევდნენ, წვიმის მილებზე დაცოცავდნენ - და ეს ყველაფერი ხდებოდა მხოლოდ იმისათვის, რომ რომელიმე გაზეთის პირველ გვერდზე რაღაც ამგვარი რამ დაეწერათ: „მან ამერიკაში მიატოვა გოგონა, რათა იტალაში ბიჭი გაეჩინა“. შვედეთის პრესამ იგი „ეროვნულ დროშაზე წაცხებულ ლაქად“ მონათალა, ერთმა ამერიკელმა მოძღვარმა რადიოში მთელი ქვეყნის გასაგონად ინგრიდ ბერგმანს „ბიწიერების სიმბოლო“ უწოდა; კინოგაქირავებაში ბერგმანის ფილმები აკრძალეს, რადიოარქივებიდან ყველა მისი ჩანაწერი ამოიღეს...

რობერტო როსელინიმ კი მშვიდად გააფორმა განქორწინება მორიგ ყოფილ ცოლთან და ინგრიდს ოფიციალურად სთხოვა ხელი, თუმცა მათი ქორწინება, როგორც ითქვა, ყოფილ ქმართან განქორწინების გაჭიანურების გამო გაურკვეველი ვადით გადაიდო და ახლადშობილი ბიჭუნა როსელინიმ ასე წარუდგინა ოფიციალურ ინსტანციებს - „რობერტო როსელინის ვაჟი, დედის ვინაობა დაუდგენელიაო“. ასე რომ, ინგრიდ ბერგმანი შეიქნა იმ ეპოქის, და საერთოდ XX საუკუნის ყველაზე ცნობილი ანონიმური დედა!...

### დრო გავიდა

ყველაფერი ნელინელ მოწესრიგდა, როსელინიმ ინგრიდი და თავისი პატარა რობერტინო სანტა-მარინელას ერთ თვალწარმტაც ვილაში დაასახლა, თავად კი აღივსო შემოქმედებითი იდეებით, პროდიუსერების ძიებაში დაიწყო წანწალი და გამუდმებით მონაწილეობდა სპორტული ავტომობილების შეჯიბრებებში, რომელთა გარეშე მას ცხოვრება ვერ წარმოედგინა... ინგრიდი კი უვლიდა ბავშვს და კვლავ კინოზე ოცნებობდა.



„შენ მხოლოდ ჩემს ფილმებში ითამაშებო!“ - განუცხადა ერთხელ მას ეჭვიანმა და თავქარიანმა როსელინიმ და თავის გენიალურ ცოლს სამუდამოდ აუკრძალა გადაღება სხვა რეჟისორებთან, არადა, მასთან მუშაობაზე ოცნებობდნენ ფელინიც, ვისკონტიც და სხვებიც...

მიუხედავად ამგვარი ტირანიისა, ინგრიდი მორჩილად იტანდა განმარტოებულ ცხოვრებას, რადგან მას ნამდვილად უყვარდა რობერტო როსელინი, რომელიც, თითქოს შეგნებულად და თითქოს გაუაზრებლად, ყველანაირად ცდილობდა, რომ ცოლის ცხოვრებიდან კინემატოგრაფი ამოეშალა. იგი ცოლს ამერიკაში დატოვებული შვილის ნახვასაც უკრძალავდა, თუმცა არც ყოფილი ქმარი იყო ამის მომხრე და პატარა პიას შთააგონებდა, რომ დედისათვის სიძულვილით აღსავსე წერილები მიეწერა.

1951 წელს ინგრიდ ბერგმანმა კვლავ იგრძნო, რომ ფეხმძიმედაა და სულ მალე ორი მშვენიერი გოგონა, ტყუპები - იზაბელი და იზოტა შობა და მის დღიურში ასეთი ჩანაწერი გამოჩნდა - „ჩემი ერთადერთი ბედნიერება იტალიაში შვილების გაჩენააო“, თუმცა ამ ბედნიერებას ქმრის უზარმაზარი ვალები და კინოსთან ხანგრძლივი განშორება აფერმკრთალებდა. ასე და ამგვარად, ერთ მშვენიერ დღეს ინგრიდ ბერგმანმა იგრძნო, რომ მას როსელინის აღარც პიროვნება და აღარც შემოქმედება აღარ აღელვებდა, ამას დაერთო ისიც, რომ ამერიკამ მას ქვეყანაში შესვლის ნება დართო; დართო და იგი მაშინვე მიიწვიეს ფილმ „ანასტასიაში“ გადასაღებად (...რამაც როსელინი გააცოფა, მაგრამ ცოლს ვეღარ შეაცვლევინა გადაწყვეტილება). ამ ფილმმა დიდი აღიარება მოიპოვა და მაყურებელმა კვლავ გააღმერთა ინგრიდ ბერგმანის ნიჭი; ფილმს პარიზში დადგმული სპექტაკლი „ჩაი და თანაგრძნობა“ მოჰყვა, რაც ბერგმანისთვის ნამდვილი ტრიუმფი აღმოჩნდა და...

### ინგრიდ ბერგმანი თავის თაყვანისმცემლებს დაუბრუნდა

ამასობაში როსელინიმ კიდევ ერთი ცოლი შეირთო, რაც ინგრიდისათვის არც მოულოდნელობა ყოფილა და არც შოკი, რადგან მას ბებერი იტალიელი დონ ჟუანი აღარ უყვარდა.

ინგრიდის მესამე სიყვარული და ქმარი ლარს შმიდტი გახლდათ. ათლეტური აღნაგობის ევროპელი პროდიუსერი, რომელიც პირველი შეხვედრისას ინგრიდს რატომღაც ოფიციანტი (?!) ეგონა. ქალი თავისი ორი ქორწინებით იყო გატანჯული, კაციც დიდ პრობლემებში იყო გახლართული ყოფილი ცოლის გამოისობით და მათ გაუგეს ერთმანეთს... ისინი დარწმუნდნენ, რომ ერთმანეთისთვის იყვნენ შექმნილნი და ინგრიდის ცხოვრებაც ჩვეულ კალაპოტში ჩადგა. თვით პიამაც კი აპატია დედას და მასთან ერთად მთელი ზაფხული გაატარა.

რაც შეეხება როსელინის, იგი თავის 27 წლის ტოპ-მოდელ ცოლთან განმარტოვდა, კვლავ შემოქმედებით იდეებში ჩაეფლო და ინგრიდისაგანაც ადვილად მიიღო განქორწინება. ასე დასრულდა ინგრიდ ბერგმანის ცხოვრებაში „იტალიური კოშმარი“ (მსგავსი რამ ოდრი ჰეპბერნსაც დაემართა იტალიაში, თუ გახსოვთ) და მშვენიერი დღეების წყება დაუსრულებლად გადაება ერთმანეთს, რის მთავრი ხელშემწყობიც სწორედ ლარს შმიდტი გახლდათ.

